

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება №58
12. 12. 2008 წელი**

2008 – 2009 სეზონის არასრული აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2008-2009 სასწავლო წელს არასრული აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) გათვალისწინებულ ნორმამდე ნაწილობრივი ან სრული შევსება მოხდეს:
 - ა) აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციის მიზნით შექმნილი აკადემიური ჯგუფების სასწავლო დატვირთვით;
 - ბ) სტუ-სთან არსებული პროფესიული განვითარების ცენტრში კვალიფიკაციის ამაღლების კურსის გავლით;
 - გ) სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ნაშრომების მომზადებით, კერძოდ,
2. მუშავის მიერ, მითითებული სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობით წლიური საათობრივი (სალექციო) დატვირთვის დადგენილი ოდენობის შევსებაზე თანხმობის შემთხვევაში, მასთან გაფორმდეს დამატებითი შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს 2006 წლის 4 სექტემბერს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) განუყოფელ ნაწილს.
3. მუშავის მიერ, მითითებული სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობით წლიური საათობრივი (სალექციო) დატვირთვის დადგენილი ოდენობის შევსებაზე უარის შემთხვევაში, მისი შრომის ანაზღაურება (ხელფასის სახით) განისაზღვროს შესრულებული სალექციო საათების შესაბამისად.
4. დადგენილების შესრულება დაევალოს ფაკულტეტების დეკანებსა და შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელებს,
5. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სტუ-ს სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის უფროსს, პროფესორ იური ლომიძეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს თავჯდომარის მ.შ.
პროფ.

ა. ფრანგიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მდივანი, პროფ.

გ. სალუქვაძე